

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს,

ბატონ მიხეილ ჩხენკელს

### რეკომენდაცია

**ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრირებისა და საგანგებო მდგომარეობის პირობებში მისი სწავლების შესახებ**

*შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგმავრებით „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად*

ბატონო მიხეილ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების ინტეგრირების ხარისხი და საგანგებო მდგომარეობის პირობებში მისი სწავლების მნიშვნელობა პროექტ „ტელესკოლის“ მეშვეობით.<sup>1</sup>

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საკითხის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების ინტეგრირების დონე არ შეესაბამება ევროპის საბჭოსა და ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ დადგენილ თანამედროვე სტანდარტებს. სახელმწიფოთა მიმართ ბავშვთა უფლებების კომიტეტისა და ევროპის საბჭოს მიერ გამოცემული რეკომენდაციების მიუხედავად, ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლება არ არის სრულფასოვნად ინტეგრირებული ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე.

ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კიბერბულინგის შემთხვევების პრევენციის, მათზე ადეკვატური რეაგირების კუთხით. ამასთან, იგი მიმართულია ისეთი მოსწავლის ჩამოყალიბებაზე, რომელიც ინტერნეტ სივრცეში იცავს საკუთარ და სხვათა უფლებებს. ამდენად, დაწესებული შეზღუდვების პირობებში, მისი მნიშვნელობა განუზომლად იზრდება.

ზემოხსენებული მიზნის მისაღწევად, უდიდესი როლი ენიჭება მოსწავლეთა მშობლებისა და კანონიერი წარმომადგენლების მხარდაჭერას ციფრულ მოქალაქეობასა და წიგნიერებაში განათლების ეფექტიანი პროგრამების მიწოდების გზით. ამდენად, მომეტებული მნიშვნელობისაა სახელმწიფოს ამ მიმართებით სისტემური მიდგომა, პოლიტიკა გააჩნდეს.

<sup>1</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2020 წლის 27 მაისის N 5801/20 ოქმი

## ფაქტობრივი გარემოებები

ციფრული გარემო, ინტერნეტ სივრცე, ხალხის ცხოვრებაში მზარდ როლს თამაშობს. ამასთან, თანმხლები რისკები, განსაკუთრებულად ბავშვებთან მიმართებით, იჩენს თავს და ხშირად ძალადობის ფორმით ვლინდება.<sup>2</sup>

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი ხაზს უსვამს გარდატეხის ასაკში მყოფი არასრულწლოვნებისათვის ინტერნეტ სივრციდან მომდინარე მათ შორის ისეთ რისკებზე, როგორცაა, კიბერბულინგი, სიძულვილის ენა, სექსისტური ენა, ბავშვთა პორნოგრაფია და სხვა.<sup>3</sup> დამატებით, კომიტეტის დოკუმენტში მითითებულია: „*ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან მიმართებით ბავშვებსა და მოზრდილებს შორის არსებული ძირითადი განსხვავება ისაა, რომ არასრულწლოვნები ტექნოლოგიების სამყაროში „ცხოვრობენ“ ხოლო მოზრდილები - „იყენებენ“ მათ. ამდენად, აღქმაში ზემოხსენებულ სხვაობას ონლაინ სამყაროში სხვადასხვაგვარ რისკებთან მივყავართ.*“<sup>4</sup>

მხედველობაშია მისაღები, რომ ნორვეგიის ბავშვთა ომბუდსმენის მითითებით: „ევროპის კავშირში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ნორვეგიელ ბავშვებს ინტერნეტში მომხდარ უარყოფით მოვლენებთან გამკლავების არაადეკვატური უნარი გააჩნიათ.“<sup>5</sup>

ბუნებრივია, პანდემიის პირობებში, სოციალური დისტანციის უზრუნველსაყოფად შემოღებულმა შეზღუდვებმა, ზემოხსენებული რისკები და მათთან მიმართებით ბავშვთა ზოგადი დაუცველობა საგრძნობლად გაზარდა. ამდენად, სრულიად ახალი მნიშვნელობა შეიძინა ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლებამ ასევე ამ მხრივ მშობელთა და მასწავლებელთა მიმართ განხორციელებულმა მზარდაჭერის პროგრამების ეფექტიანობამ.

შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია, ბავშვის განათლების უფლებისა და ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის უფლების ჭრილში, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობისათვის, შეფასდეს საქართველოში ზოგადი განათლების საფეხურზე ციფრული მოქალაქეობის ინტეგრირების შესაბამისობა საერთაშორისო პრაქტიკასთან და მისი განხორციელება საგანგებო მდგომარეობის დროს შემოღებული შეზღუდვების პირობებში.

---

<sup>2</sup> „Inputs on CRC’s Concept note for a General Comment on children’s rights in relation to the digital environment“ drafted by The Centre for Human Rights and Citizenship Education of the Dublin City University Institute of Education, The Centre for Children’s Rights at Queen’s University Belfast, Child Rights connect, Scottish alliance for children’s rights, გვ. 1 ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3e6vChZ> [ბოლოს ნანახია: 22/05/2020].

<sup>3</sup> General comment No. 20 on the implementation of the rights of the child during adolescence adopted by Committee on the Rights of the Child, 2016 პარ. 48.

<sup>4</sup> Report on “Digital Media and Children’s rights” adopted by the Committee on the Rights of the Child” 2014, პარ. 37 ასევე იხ. Submission to new GC - Children’s rights in the digital environment“ adopted by The Norwegian Ombudsman for Children, 2019, გვ.1.

<sup>5</sup> Submission to new GC - Children’s rights in the digital environment“ adopted by The Norwegian Ombudsman for Children, 2019, გვ.5.

## სამართლებრივი შეფასება

ევროპის საბჭოს განმარტებით, ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლება განიმარტება, როგორც „განათლების ან კომპეტენციების შეძენის გზით ყველა ასაკის “შემსწავლელის“ [learner] აღჭურვა ციფრულ საზოგადოებაში აქტიური მონაწილეობის ასევე თავისი დემოკრატიული უფლებებისა და პასუხისმგებლობების დაცვის, კიბერსივრცეში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის დაცვისა და მხარდაჭერის მიზნით.“<sup>6</sup>

ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლება ეფუძნება და აერთიანებს ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებულ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებს. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, მოიცავს იმ 20 აუცილებელ კომპეტენციას რომელიც დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანს უნდა ჰქონდეს. 4 ჯგუფადაა წარმოდგენილი: ღირებულებები, დამოკიდებულებები, უნარები, ცოდნა და გაცნობიერება.<sup>7</sup>

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლებას საკუთარი, „დამოუკიდებელი“ კომპონენტებიც, გააჩნია, ესენია: ონლაინ ყოფნა, ონლაინ კეთილდღეობა და უფლებები ონლაინ სივრცეში.<sup>8</sup> ყოველი ეს ჯგუფი აერთიანებს ელემენტებს, რომელიც საბოლოო ჯამში ქმნის ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების მყარ ჩარჩოს.<sup>9</sup> ხსენებულ ჭრილში უნდა შევნიშნოთ ის გარემოებაც, რომ მედია წიგნიერება და მისი საბაზისო უნარების ფლობა ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების სრულფასოვნად მისაღებად უმნიშვნელოვანესია.<sup>10</sup>

ამასთან, თემატური თვალსაზრით ციფრული მოქალაქეობა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა კიბერ ბულინგი და მისგან დაცვა, სიძულვილის ენა ინტერნეტში და სხვა.<sup>11</sup>

ევროპის საბჭო მკაფიოდ მიუთითებს, რომ ციფრული წიგნიერება და მოქალაქეობის უნარები თანდათანობით მიიჩნევა ბავშვის განათლების უფლების ერთ-ერთ განზომილებად.<sup>12</sup> ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების უფლებრივ „კუთვნილებასთან“ დაკავშირებით მნიშვნელოვანია მოვიხმოთ გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიდგომა, რომლის თანახმადაც: „მართალია, ბავშვის უფლებათა კონვენცია მიღებულ იქნა ისეთ დროში, როცა ინტერნეტი „ძალიან პატარა“ იყო, თუმცა იგი სრულიად გამოყენებადია ციფრულ გარემოში. მიუხედავად აღნიშნულისა, მნიშვნელოვანია, რომ მისი თითოეული მუხლის ინტერპრეტირება მოხდეს ციფრული ეპოქის სპეციფიკისა და დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით“.<sup>13</sup>

<sup>6</sup> Recommendation CM/Rec(2019)10 of the Committee of Ministers to member States on developing and promoting digital citizenship education” adopted by the Committee of Ministers on 21 November 2019, პარ.2.

<sup>7</sup> იქვე.

<sup>8</sup> იქვე.

<sup>9</sup> იქვე. ეს ელემენტებია წვდომა და ჩართულობა, სწავლა და კრეატიულობა, მედიაწიგნიერება, ეთიკა და ემპათია, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, ონლაინ კომუნიკაცია, აქტიური მონაწილეობა, უფლებები და პასუხისმგებლობები, პირადი ცხოვრება ინტერნეტში და უსაფრთხოება და მომხმარებლის ცნობიერების ამაღლება.

<sup>10</sup> Divina Frau-Meigs, Brian O’Neill, Alessandro Soriani, Vitor Tomé, Digital Citizenship Education Overview and new perspectives, Volume I Council of Europe, 2017 p. 15.

<sup>11</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით იხილეთ საგანმანათლებლო რესურსების კრებული. <https://bit.ly/3cZx7hk> [ნანახია 30/04/20].

<sup>12</sup> Comments submitted by the Children’s Rights Division of the Council of Europe on the UN Committee on the Rights of the Child concept note for a General Comment on children’s rights in relation to the digital environment drafted by CoE, 2019, გვ. 2.

<sup>13</sup> Report on “Digital Media and Children’s rights” adopted by the Committee on the Rights of the Child” 2014,

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ გაეროს „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ 29-ე მუხლის პირველი პუნქტის თითოეული ქვეპუნქტი, რომელიც განათლების მიზანს ადგენს, სრულფასოვნად „გადინაცვლებს“ ონლაინ სფეროშიც, რადგან ამ შემთხვევაში იცვლება ადგილი, პლატფორმა, სადაც საგანმანათლებლო პროცესი წარიმართება.

ამასთან, ვინაიდან ინტერნეტი ბავშვისთვის არაერთ შესაძლო უფლებადარღვევის რისკს წარმოშობს, განათლების სისტემაში ციფრული მოქალაქეობის თაობაზე ცოდნის სრულფასოვანი ინტეგრირება, წარმოადგენს კონვენციით განსაზღვრული მიზნების მიღწევისთვის საჭირო და კრიტიკულად აუცილებელ ზომას.

ნორვეგიის ბავშვის უფლებათა ომბუდსმენი მიუთითებს, რომ კურიკულუმში ციფრული წიგნიერება ფართოდ უნდა განიმარტოს და მოიცვას რამდენიმე ბავშვისადმი მომეტებული რისკის მქონე საკითხი, მაგალითად, კიბერ ბულინგი, პირადი ცხოვრების დაცვასთან დაკავშირებული ასპექტები და სხვა.<sup>14</sup>

ციფრული მოქალაქეობის ფორმალური განათლების პროგრამებში ინტეგრირების თაობაზე საერთაშორისო სტანდარტი აბსოლუტურად ერთგვაროვანია. ევროპის საბჭოს განმარტებით:

*„ციფრული წიგნიერებისა და მოქალაქეობის შესახებ განათლება ინტეგრირებული უნდა იყოს საბაზისო განათლების კურიკულუმშიც კი, ბავშვებისათვის ყველაზე მცირე ასაკიდან.“<sup>15</sup>* შესაბამისად, ინტეგრირებული უნდა იყოს ზოგადი განათლების სისტემის ყველა საფეხურზეც.<sup>16</sup>

მოსწავლეთათვის ფორმალური განათლების სისტემაში ციფრული მოქალაქეობის კომპონენტის სრულფასოვანი ინტეგრირების გარდა, სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ და მხარი დაუჭირონ მშობლების, ან მზრუნველების ციფრული წიგნიერების განვითარებას ჩამოყალიბებული მექანიზმების მეშვეობით, რაც ბავშვის და ოჯახისთვის უსაფრთხო და მდგრადი ციფრული გარემოს შექმნის აუცილებელი წინაპირობაა.<sup>17</sup>

აღსანიშნავია, რომ მსგავსი მიდგომა აქვს ბავშვის უფლებათა კომიტეტსაც სხვა ორგანიზაციებთან ერთად.<sup>18</sup> მეტიც, იგი ყურადღებას ამახვილებს ასევე ამ სფეროში მასწავლებელთა ადეკვატური მომზადების აუცილებლობაზეც.<sup>19</sup> ამასთან, კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოებს, რომ ბავშვის უფლებებისა და ციფრული მედიის/ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაცია ასახონ პერიოდულ მოხსენებებში.<sup>20</sup>

---

პარ. 46.

<sup>14</sup> Submission to new GC - Children's rights in the digital environment“ adopted by The Norwegian Ombudsman for Children, 2019, გვ. 4 .

<sup>15</sup> Comments submitted by the Children’s Rights Division of the Council of Europe on the UN Committee on the Rights of the Child concept note for a General Comment on children’s rights in relation to the digital environment drafted by CoE, 2019, გვ. 2.

<sup>16</sup> Recommendation CM/Rec(2019)10 of the Committee of Ministers to member States on developing and promoting digital citizenship education” adopted by the Committee of Ministers on 21 November 2019, პარ. 4

<sup>17</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია „წვერი სახელმწიფოებისადმი ციფრულ გარემოში ბავშვის უფლებების პატივისცემის, დაცვის და განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ“ მიღებული 2018 წლის 04 ივლისს, პარ. 43.

<sup>18</sup> Report on “Digital Media and Children’s rights” adopted by the Committee on the Rights of the Child” 2014, პარ. 95. Submission to new GC - Children's rights in the digital environment“ adopted by The Norwegian Ombudsman for Children, 2019, გვ. 4.

<sup>19</sup> Report on “Digital Media and Children’s rights” adopted by the Committee on the Rights of the Child” 2014, პარ. 83.

<sup>20</sup> იქვე, პარ. 110.

საქართველოს სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ საქართველოს მიერ კომიტეტისადმი წარდგენილი ბოლო პერიოდული მოხსენება აღნიშნულ საკითხებზე ინფორმაციას არ შეიცავს.<sup>21</sup> ამასთან, 2019 წელს კომიტეტმა მუშაობა დაიწყო ახალ ზოგად კომენტარზე, რომელიც სწორედ ციფრულ გარემოში ბავშვთა უფლებებს შეეხება.<sup>22</sup>

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი ერთ-ერთ საგნობრივ ჯგუფად ტექნოლოგიებს გამოყოფს, რომელშიც ერთადერთი სავალდებულო დისციპლინა „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“ ერთიანდება.<sup>23</sup> მიუხედავად ამ საგნის არსებობისა, ბავშვის უფლებათა კომიტეტისა და ევროპის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების საპირისპიროდ, იგი მხოლოდ V-VIII კლასებში ისწავლება. ამდენად, იგი მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს დაწყებით და საბაზო საფეხურებს.<sup>24</sup> დაწყებითი საფეხურზე ამ საგნის სწავლის შედეგებში ციფრული მოქალაქეობის კომპონენტი პრაქტიკულად არ არის ინტეგრირებული.<sup>25</sup> საბაზო საფეხურზე ამ დისციპლინის სწავლის შედეგების ერთ-ერთი მიმართულება კი სწორედ ციფრული მოქალაქეობაა.<sup>26</sup>

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მითითებით, პანდემიის პირობებში სახელმწიფოთა მიერ სასწავლო კურსულუმებში მოცემული მიზნების ხელახალი პრიორიტეტიზაცია და მათი ახალ რეალობაზე მორგება მნიშვნელოვანია.<sup>27</sup> ამ ჭრილში აუცილებლად უნდა გავანალიზოთ პროექტი „ტელესკოლის“ პლატფორმა, როგორც ერთ-ერთი შესაძლებლობა, რადგან საგანგებო მდგომარეობის პირობებში, ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სასწავლო დაწესებულებებთან ერთად, ამ პროექტის მეშვეობით ხორციელდებოდა.<sup>28</sup> „ტელესკოლის“ ცხრილი კი არ მოიცავს საგნის „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“ გაკვეთილებს.<sup>29</sup>

სახალხო დამცველის მიერ „ტელესკოლის“ პროექტის მონიტორინგმა აჩვენა, რომ მასში არ არის წარმოდგენილი ისეთი ვიდეოები, რომლებიც მოსწავლეებს სპეციალურად ციფრული მოქალაქეობისა და ინტერნეტ სივრციდან მომდინარე რისკების თაობაზე აწვდის ინფორმაციას.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ „საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის N205 დადგენილება არ ითვალისწინებს

<sup>21</sup> Fourth periodic State party report to the UN Committee on the Rights of the Child submitted by Georgia, 2014, გვ. 15-27, 32-35.

<sup>22</sup> სამწუხაროდ, სახელმწიფომ, მიუხედავად შესაძლებლობისა, კომიტეტს არ წარუდგინა საკუთარი მოსაზრებები, ხედვები კომენტართან დაკავშირებით. ინფორმაცია ზოგად კომენტართან მიმართებით ხელმისაწვდომია ბავშვის უფლებათა კომიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <https://bit.ly/3e6vChZ> [ბოლოს ნანახია: 22/05/2020].

<sup>23</sup> „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მესამე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

„ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ 2016 წლის 18 მაისის N 40/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის 51-ე მუხლი.

<sup>24</sup> „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ 2016 წლის 18 მაისის N 40/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის 76-ე მუხლი.

<sup>25</sup> იქვე.

<sup>26</sup> იქვე.

<sup>27</sup> Fernando M. Reimers, Andreas Schleicher, A framework to guide an education response to the COVID-19 Pandemic of 2020 ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2So9oPZ> გვ. 5.

<sup>28</sup> „საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის N 205 დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>29</sup> „ტელესკოლის“ ცხრილი ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3cVY5H9> [ბოლოს ნანახია: 22/05/20].

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგნის მასწავლებლის, დამრიგებლის ან სხვა უფლებამოსილი პირის ვალდებულებას, კონსულტაცია გაუწიოს მოსწავლესა და მის ოჯახს ინტერნეტ სივრცის უსაფრთხოდ გამოყენების შესახებ. ცხადია აღნიშნული ასევე მოიაზრებს კიბერბულინგსა და მისი დამღვევის გზებზე საჭირო ინფორმაციის მიწოდებას. ამ მიმართებით იდენტური შინაარსი აქვს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ ახალ დადგენილებას, რომელიც საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ დაწესებული შეზღუდვების პირობებში სასწავლო პროცესის განხორციელების წესს აღგენს.<sup>30</sup>

საქართველოს, ბავშვის უფლებათა კონვენციიდან მომდინარე ვალდებულების საფუძველზე პირდაპირ ეკისრება მოსწავლეთა, მშობლებისა და ოჯახის წევრებისათვის ციფრული წიგნიერებისა და მოქალაქეობის შესახებ სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ვალდებულება. აღნიშნულზე მიუთითებს ბავშვის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაცია ევროპის საბჭოს სტანდარტებთან ერთად.<sup>31</sup>

ტექნოლოგიების მიმართულებით მასწავლებელთა კვალიფიკაციასთან მიმართებით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მომზადებული აქვს კანონპროექტი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის განმარტებითი ბარათის თანახმად ტექნოლოგიების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლების დეფიციტი განსაკუთრებით მწვავეა ქართულ სკოლებში.<sup>32</sup>

სახალხო დამცველის შეფასებით, კანონპროექტი კარგ შესაძლებლობას იძლევა სკოლებში ტექნოლოგიებისა და შესაბამისად, ციფრული მოქალაქეობის სწავლების გაძლიერების კუთხით. სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ, საქართველოს არაერთ რეგიონში ჩატარებული შეხვედრებისას, პედაგოგები ხაზს უსვამენ ადამიანის უფლებებში პროფესიული განვითარების ტრენინგების აუცილებლობასა და საჭიროებას, მათ შორის ისეთ კომპონენტებთან მიმართებით, რომელსაც მოიცავს ციფრული მოქალაქეობა. შესაბამისად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აუცილებელია მასწავლებელთა შემდგომი, სისტემური ტრენინგი, რათა ტექნოლოგიების სწავლებამ განათლების სისტემაში მართოდ ტექნიკური კომპეტენციების შეძენის სახე არ მიიღოს და მასში ეფექტიანად იყოს ინტეგრირებული ციფრული მოქალაქეობის საკითხები.

## დასკვნა

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საკითხის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების ინტეგრირების დონე არ შეესაბამება ევროპის საბჭოსა და ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ დადგენილ სტანდარტებს.

<sup>30</sup> „საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 მაისის №321 დადგენილების პირველი მუხლი.

<sup>31</sup> Report on “Digital Media and Children’s rights” adopted by the Committee on the Rights of the Child” 2014, პარ. 95, Comments submitted by the Children’s Rights Division of the Council of Europe on the UN Committee on the Rights of the Child concept note for a General Comment on children’s rights in relation to the digital environment drafted by CoE, 2019, გვ.5.

<sup>32</sup> საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 27 მარტის MES 0 20 00320365 წერილის დანართი- „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის განმარტებითი ბარათი გვ. 6.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ რეკომენდაციით:

**საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს:**

- უზრუნველყავით ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლება ზოგადი განათლების ყველა საფეხურზე სავალდებულო საგნის მეშვეობით იმგვარად, რომ სრულფასოვნად დაინტეგრირდეს ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლება ევროპის საბჭოსა და ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ დადგენილი სტანდარტის შესაბამისად.
- უზრუნველყავით მოსწავლეთა მშობლებისა და კანონიერი წარმომადგენლებისათვის ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლებაში ტრენინგ პროგრამების შემუშავება/ჩატარება, ამასთან მათი განთავსება „ტელესკოლის“ პლატფორმაზე.

გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული რეკომენდაცია და პასუხი მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,